ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებ(ებ)ის / დამატებ(ებ)ის შეტანას:

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„1.1 ბანკი (სს „თიბისი ბანკი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595; საბანკო ლიცენზიის № 85; საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“; მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) კლიენტს გაუხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით“.

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„8.3.3 დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ანგარიშ(ებ)ზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის ან/და ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის / საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან). ბანკი კლიენტის ანგარიშ(ებ)ს დახურავს იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტის მიერ განხორციელდება/ინიცირებული იქნება / კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე დაფიქსირდება სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის მიერ/ქვეყნ(ებ)ში წარმოებული პროდუქციის შეძენასთან / იმპორტთან / ექსპორტთან / გადაზიდვასთან და/ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში შეძენილი პროდუქციის სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიის გავლით და/ან სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის საჰაერო, საზღვაო და სხვ.) პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები / ოპერაციები. ბანკში კლიენტს ანგარიში ასევე დაეხურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა, რა შემთხვევაშიც ძალაში შევა ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა (ბანკის უფლებამოსილება)“.

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„8.3.5 მოახდინოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის შეტანა/გატანა, ჩარიცხვა/გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვ.), ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან 2 (ორი) წლის განმავლობაში საბანკო ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის, საბანკო ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის / საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან). ამასთან, საბანკო ანგარიშ(ებ)ის ამ პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით ბლოკირების შემთხვევაში, კლიენტი ვერ შეძლებს საბანკო პროდუქტ(ებ)ის/მომსახურების მიღებას (რეგისტრაციას, სარგებლობას და ა.შ.), ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების კლიენტის მხრიდან სრულად განხორციელებამდე (შესრულებამდე). კლიენტის ანგარიშ(ებ)ის ბლოკირებას ბანკი ასევე განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“.

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.3.2 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„11.3.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი (მათ შორის მისი ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის, საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ) დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად მისი შექმნიდან, ინახება ბანკის მიერ განსაზღვრული წესით და ვადით და ბანკი ვალდებულია, ბანკისთვის მისაღები ფორმით გააცნოს კლიენტს ჩანაწერი მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა (ბანკის ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ 2011 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ ჩანაწერებზე)“.